საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი
შეფასების დეპარტამენტს
შპს „რეპსოლის“ ს/ნ 405074128
დირექტორის ზურაბ ნოზაძის
ტელ. 599 17 87 69

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შპს „რეპსოლს“ ს/ნ 405074128 2021 წლის 09 მარტს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადაეცა ავტოგასამართი სადგური, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირის N170-ში. ს/კ 01.12.01.003.002 (GPS კოორდინატში X-483200; Y-4625650) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არის 370, 00 კვ.მ. ფართობის და მასზე განთავსებულია 97,31 კვ.მ. ფართობის შენობა-ნაგებობა. ავტოგასამართი სადგური უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 70 მ-ით.

შპს „რეპსოლი“ გეგმავს ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციას კერძოდ, არსებული ხუთი რეზერვუარიდან, (რომელთა მოცულობებია: 25,0 მ³- სამი რეზერვუარი, 7,0 მ³ - ერთი რეზერვუარი და 60 მ³ - ერთი რეზერვუარი) უნდა ამოიცვალოს ოთხი რეზერვუარი, სამი 25,0 მ³ მოცულობის, ერთი 7,0 მ³ მოცულობის. მათ ნაცვლად, იმავე ადგილზე ჩაიდგმევა ორი 50,0 მ³ მოცულობის რეზერვუარი. თითოეული რეზერვუარის სიგრძე არის 9,60 მეტრი, დიამეტრი 2,60 მ. კონუსი 25,5 სმ, სასუნთქი სარქველების სიმაღლე იქნება 4,0 მ, დიამეტრით 0,05 მ. რეზერვუარები დაფარული იქნება ანტიკოროზიული ნივთიერებით და მოთავსებული იქნებიან არსებულ ქვა-ღორღის სარკოფაგში. ახალი რეზერვუარებიდან ერთი გამოყენებული იქნება ბენზინისთვის, მეორე რეზერვუარი დიზელისთვის.

რეზერვუარების განსათავსებლად, სამონტაჟო სამუშაოების და შენობის სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად ავტოგასამართმა სადგურმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

№ 8764
20 05 2021
3/15+CD

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინის და დიზელის საწვავის რეალიზაციისათვის. ბენზინის წლიური რეალიზაციის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 5 000 000 ლიტრი, დიზელის წლიური რეალიზაციის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 3 000 000 ლიტრი. ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე, ავტოგსამართი სადგური იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 365 სამუშაო დღე წელიწადში.

საწვავმარიგებელი სვეტი დამონტაჟებულია რეზერვუარებიდან 25 მეტრის დაშორებით და რეზერვუარებს უკავშირდება თანამედროვე პლასტიკის მილებით.

ავტოგასამართი სადგურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და შემდგომ მათ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან ნავთობპროდუქტების მიღებისას.

ტერიტორიაზე დამონტაჟებულია მეხამრიდი, რომელიც ფარავს სარეზერვუარო მოედანს, საოპერატოროს და მარიგებელ სვეტებს.

ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექების და ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრება მოხდება მოედნის პერიმეტრზე განთავსებული ღია ღარების საშუალებით და ჩაედინება გამწმენდ სალექარ-დამჭერში, დალექვის შემდეგ ის ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომი უტილიზაციისათვის გადეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

ავტოგასამართი სადგურის მუშაობისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, წელიწადში დაახლოებით 0,6 $მ^3$ ოდენობით, ასევე სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები, გადამწვარი ნათურები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით კერძოდ, მათი დროებითი განთავსება, ტრნასპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე.

ობიექტის მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონის გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარი.

ავტოგასამართი სადგური აღჭურვილია სახანძრო დაფით, ცეცხლმაქრებით, სახანძრო ინვენტარით და არსებული კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებებით. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილია ნარჩენების განსათავსებელი უბანი, სადაც დგას ნაგვის ურნები, დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის.

ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს 2007 წლიდან და წარმოადგენდა სააქციო საზოგადოება „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" საკუთრებას. სააქციო საზოგადოება „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" მიერ 2016 წლის 10 მაისს საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებულია „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში".

დამატებით გაცნობებთ, რომ 2007 წლიდან 2017 წლის 25 აგვისტომდე ობიექტი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი N 74; საკადასტრო კოდით 01.12.01.003.002, 2017 წლის 25 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერში შეიცვალა მისამართი და დაფიქსირდა ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი N 170; იგივე საკადასტრო კოდთ 01.12.01.003.002 და იგივე ფართობით.

ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

შპს „რეპსოლის" დირექტორი ზ.ნოზაძე